



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტი



სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

**„შუა საუკუნეების ქართული
კულტურული მემკვიდრეობა
საზღვარგარეთ“**

კონფერენცია ეძღვნება

პროფესორ გიორგი ოთხმეზურის 70 წლის იუბილეს

თ ე ზ ი ს ე ბ ი

29-30 ნოემბერი, 2024 წელი

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

თედო დუნდუა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

ალექსანდრე ბოშიშვილი

ისტორიის დოქტორი, ასისტენტი-პროფესორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ლერი თავაძე

ისტორიის დოქტორი, ასისტენტი-პროფესორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ლუკა ნებიერიძე

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ალექსანდრე მარუაშვილი


ისტორიის დოქტორი, თსუ მუზეუმი

კონსტანტინე ოთხმეზური

ისტორიკოსი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გიორგი ოთხმეზური

(1954 წლის 14 აგვისტო - 2021 წლის 20 იანვარი) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1981), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი (1976). 1976 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის



განყოფილებაში. 1991 წლიდან მოღვაწეობა თსუ-ში ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა, სადაც იკავებდა ჯერ დოცენტის, შემდგომ კი პროფესორის თანამდებობას. პარალელურად იყო საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, მოგვიანებით კი მისი ხელმძღვანელი. 2005 წლიდან, გიორგი ოთხმეზური უცვლელად იკავებდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის პოზიციას. წლების განმავლობაში კითხულობდა სხვადასხვა კურსებს, მათ შორის: საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი); საქართველოს ისტორია (რუსულ ენაზე); საქართველოს ისტორია XV-XVIII სს; ქართული წყაროთმცოდნეობა; ქართული ეპიგრაფიკა და სხვა. აღსანიშნავია მისი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი. გიორგი ოთხმეზური იკვლევდა შუა საუკუნეებისა და თანამედროვე საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებს, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის პრობლემატიკას, ქართულ ისტორიულ საბუ-

თებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს, პოლიტიკურ ისტორიას. იგი იყო არაერთი ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. მისი გამოკვლევები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე გამოცემულია საქართველოსა და უცხოეთის არაერთ რეიტინგულ სამეცნიერო კრებულსა და პერიოდულ გამოცემაში.

დისერტაციები:

- „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული ნარჩენები, როგორც საისტორიო წყარო“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია, თბილისი 1981;
- „შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII საუკუნეები)“. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია, თბილისი 1999;

მოსხენებათა თეზისები

ანი დაუთაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი

ანა კაშმაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე

არტანუჯის პოლიტიკური და კულტურული როლი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში

არტანუჯი მდებარეობს თანამდეროვე თურქეთის ტერიტორიაზე, მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ არტანუჯის (თურქ. არდანუჯი) სანახებში. ის საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა კლარჯეთის ერთ-ერთ პოლიტიკურ ცენტრს და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში.

ვრცელ კლდოვან პლატოზე აშენებული არტანუჯი აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო, თავისი ძლიერი კედლებითა და სწორი დაგეგმარებით, მისი სურსათით მომარაგება და დაცვა მარტივი იყო, ამიტომ ის ხშირად გამოიყენებოდა მოსახლეობის გასახიზნად და შესაფარებლად. მისი დაარსება დაკავშირებულია ვახტანგ გორგასლის სახელთან, თუმცა, თავისი მნიშვნელობის გათვალისწინებით შეუძლებელია არტანუჯის ტერიტორია შეუმჩნეველი დარჩენილიყო V საუკუნემდე. არტანუჯი გეოგრაფიულად მდებარეობს სავაჭრო გზების გადაკვეთაზე, რაც მისი ეკონომიკურ ღირებულებას ზრდიდა. ის სამეფო ქალაქს წარმოადგენდა და შედგებოდა დედაციხის, დაბა-ქალაქისა და რაბათისგან, სადაც განვითარებული იყო ვაჭრობა და ხელოსნობა.

არტანუჯის პოლიტიკურ როლს სამხრეთ საქართველოში ზრდიდა ის ფაქტი, რომ ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიზანტიასთან ურთიერთობაში. ცნობილია, რომ ბიზანტიას არტანუჯის ხელში ჩაგდება და მისი საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება სურდა. არტანუჯის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშ-

ვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, რაც არაბებისგან შენუხებული მოსახლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასახლდა. ამოტკურაპალატმა ის ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად აქცია, ხოლო მისი ვაჟიშვილის, ადარნასეს, დროს ქალაქი კლარჯეთის დედაქალაქი გახდა. ადარნასეს შვილი სუმბატი უკვე იწოდება როგორც – სუმბატ არტანუჯელი. არტანუჯის სიმტკიცის გამო საქართველოს გაერთიანების დროს ბაგრატ III-ს უწევს არტანუჯელი ბაგრატიონების ფანასკერტში დატყვევება. ამის შემდეგ არტანუჯი ჯერ ბიზანტიელების, ხოლო შემდეგ კვლავ ქართველთა ხელში გადადის. არტანუჯის მფლობელი იყო ლიპარიტ ბაღვაშიცი, რომელიც მეფის წინააღმდეგ გამოდიოდა. დავით აღმაშენებლის დროს ის სამეფო დომენად იქცა. არტანუჯი, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თამარისა და შემდეგ, მონღოლების პერიოდშიც.

არტანუჯი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნების (ბიზანტიის, ოსმალეთის), საქართველოს მეფეებისა და ძლიერი ფეოდალების დავის ობიექტს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ის ფიგურირებს და, ხშირად, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში.

სესილი სამხარაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ივერიის ღვთისმშობლის ხატი და მისი მნიშვნელობა ქართველების ერთიანობის საკითხში

ქართული კულტურის განვითარება, უშუალოდ საქართველოს გარდა, აქტიურად მიმდინარეობდა საზღვარგარეთ. ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა საზღვარგარეთ არის ათონის მთა, რომელიც მდებარეობს საბერძნეთში. აქ იქმნებოდა და ითარგმნებოდა უძვირფასესი ლიტერატურული ძეგლები, იქ-

მნებოდა ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური. საქართველოსთან უშუალო კავშირშია ათონის მთაზე არსებული ივერიის მონასტერი, სადაც დაბრძანებული არის ივერიის ღვთისმშობლის ხატი.

ბიზანტიაში დანყებული ცნობილი მოვლენის, ხატმებრძოლეობის დროს, ღვთისმშობლის ხატი ერთმა ღვთისმოსავმა ქვრივმა, განადგურების საფრთხისგან არიდების მიზნით, ზღვაში ჩაუშვა. მოგვიანებით, ათონელმა ბერებმა იხილეს ზღვაზე აღმართული ცეცხლის სვეტი. ხატი ნაპირზე ქართველმა ბერმა, გაბრიელმა გადმოაბრძანა. ვინაიდან ხატი ივერთა მონასტერში ბრძანდებოდა, მას „ივერიის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა.“ ღვთისმშობლის ხატი, მოგვიანებით ქაიხოსრო ჯაყელის შენევნითა და სამცხის ეპისკოპოსის ამბროსის ღვანლით ქართველ ოსტატს მოუჭედავს.

ათონი დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც კულტურის სფეროში, ასევე ეროვნული თვითშეგნების საკითხში. ამ მხრივ ათონი გვევლინება, როგორც ერთიანობის სიმბოლო საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დაშლილი იყო სამეფო-სამთავროებად, ქართველი მეფეები თუ მთავრები კვლავ ერთნაირად გასცემდნენ შეწირულობებს ათონის მთაზე არსებულ ივერიის ქართველთა მონასტრის წინაშე. ათონს XV-XVI საუკუნეებში ეხმარებოდნენ სამცხელი ათაბაგები ყვარყვარე და მზეჭაბუკი, XVII საუკუნეში კახეთის მეფე თეიმურაზ I, ქართლის დედოფალი მარიამი, ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, აშოთან მუხრანბატონი, გიორგი XI და სხვები. XVIII საუკუნეში თეიმურაზ II, ერეკლე II, იმერეთის მეფე სოლომონ I.

ნათელია, რომ ყველა მათგანი შეწირულობას აკეთებდა იმის გამო, რომ ივერონი იყო ქართველთა მონასტერი, ყველანი, ისინი ერთიანი საქართველოს მემკვიდრედ და ქართველად მიიჩნევადა თავს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად ცალკე ერთეულები იყვნენ და ხშირად სწორედ თვითონ ხდებოდნენ ქვეყნის პოლიტიკური დაშლის მოთავენი.

ამრიგად, ათონის ივერთა მონასტრის ისტორია საინტერესოა როგორც იქ შექმნილი მრავალფეროვანი ძეგლებით, ასევე ქარ-

თველთა ეროვნული და კულტურული ერთიანობის წარმოჩენისა და განმტკიცების თვალსაზრისით.

ნანა ზავრაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ლელა ხაჩიძე

სინას მთის ქართული კულტურული მემკვიდრეობა

შუა საუკუნეების ქართულ კულტურულ მემკვიდრეობათაგან მნიშვნელოვანია ძველი ქართული მწერლობის კერები საზღვარგარეთ. ქართული ხელნაწერი წიგნის საზღვარგარეთულ კოლექციათა შორის კი საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, როგორც ყველაზე ადრეულ და მრავალრიცხოვან კოლექციას, რომელიც აერთიანებს IX-XV საუკუნეებში გადანერილ სასულიერო შინაარსის 221 ხელნაწერ წიგნსა და ფრაგმენტს. ეს საღვთისმეტყველო-ლიტერატურული კერა პირდაპირი გაგრძელებაა პალესტინის, უფრო კი საბას მონასტერში ქართველთა მოღვაწეობისა. სინას მთაზე შემუშავებულა საგანგებო ხელწერა, რომელსაც „სინას მთის ხელი“ ეწოდება. სინის მონასტერში ქართველ მამებს უმდიდრესი და მრავალფეროვანი წიგნთსაცავი ჰქონდათ თავისი კატალოგით, ანუ წიგნებისა და ხელნაწერების ნუსხით. სინის მთის ქართული წიგნთსაცავი მხოლოდ ადგილზე შექმნილი და გადანერილი წიგნებით არ მდიდრდებოდა, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სხვა ქართულ კერებთანაც. სინას მთაზე არაერთი ექსპედიცია მოწყობილა და ამის მეშვეობით ცნობილი გახდა იქ დაცული ქართული ხელნაწერები.

მოხსენებაში მოკლედ მიმოვიხილავ სინას მთაზე დაცულ რამდენიმე ხელნაწერს და მათ მნიშვნელობას ქართული კულტურისთვის, აგრეთვე, აქ მოღვაწე ქართველი მამების წვლილს.

მარიამ მელაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

თამრო ლურნკაია

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

სინას მთის ქართული სიძველეების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის

სინას მთა სინას ნახევარკუნძულზე მდებარეობს და ქართველთა შორეული სამოღვაწეო ადგილი იყო. თითო-ოროლა ქართველი სინას მთაზე VI საუკუნიდან ჩანს, მაგრამ ქართული სათვისტომო იქ მხოლოდ IX საუკუნეში დაარსდა. ქართველებმა სინას მთის მონასტრის ტერიტორიაზე საკუთარი ტაძრები ააგეს და დაუცხრომელ მოღვაწეობას შეუდგნენ. სინას მთაზე ტაძრების მშენებლობას საქართველოსთვის არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობაც ჰქონდა.

X საუკუნეში სინას მთაზე მნიგნობრულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ მიქაელ ფანასკერტელი, იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმი, იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუდელელი და სხვები. XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება სინას მთის ფართომასშტაბიანი მეცნიერული შესწავლა. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით: პ. უსპენსკის, ა. ცაგარელს, ნ. მარის, ი. ჯავახიშვილს, ზ. ალექსიძეს, მ. ქავთარიას და სხვებს.

მოხსენებაში შევეცდებით, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართველი მეფეების, ბერების თუ სხვათა როლი სინას მთის კულტურული აღმავლობის საქმეში. გვინდა, ხაზი გავუსვათ ქართველთა იმ მოღვაწეობას სინას მთაზე, რომელსაც არა მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც

უნყობდა ხელს. ჩვენ შევეცდებით, ნაშრომში ვისაუბროთ, იმ კულტურული მემკიდრეობასა და ქართულ მარგალიტებზე, რომლებიც დაცულია სინას მთაზე. მათ შორის კი ყველაზე გამორჩეული პატარა სამოციქულოა, რომელიც საქართველოს სახელოვანი მეფის, დავით აღმაშენებლის, კუთვნილი ყოფილა. ამის დასტურად სახარების 265-ე გვერდზე მეფე წმინდანის ხელით შესრულებული მინანერია დაცული: „ქრისტე მე, დავით უნარჩევსმან მონამან ყოველთა ქრისტესთამან, განვაგზავნე წიგნი ესე მთას წმინდას სინას, ვინცა მოიხმარებდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთუინ“. ეს პატარა ტექსტი აღმაშენებლის კალიგრაფიის ჩვენამდე შემორჩენილი ერთადერთი ნიმუშია.

ვეცდებით, ნაშრომში საინტერესოდ გადმოვცეთ ინფორმაცია სინას მთაზე არსებული შუა საუკუნეების ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, ქართველთა მნიგნობრულ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და ვისაუბროთ მათ მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიისთვის.

მარიამ ბარბაქაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ქართული კულტურისა და სულიერების კერები კვიპროსზე – ღალიის მონასტერი

საქართველოს თავისი განსაკუთრებული წარსულიდან გამომდინარე მუდამ ჰქონდა ურთიერთობა წმინდა მიწასთან, შესაბამისად გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორია სწორედ კუნძულ კვიპროსთან და აქ არსებულ ღალიის მონასტერთან აკავშირებს. ქართველი ქრისტიანი მომლოცველები მუდმივად ინტერესდებოდნენ კვიპროსზე არსებული სინმინდეებით და სწორედ ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ისინი დიდ წვლილსაც შეიტანდნენ აქ არსებუ-

ლი სამონასტრო ცხოვრების განვითარებაში, რაც ნამდვილად დადასტურდა კუნძულ კვიპროსზე ჩატარებული ღალიის ქართველთა მონასტრის არქეოლოგიური გათხრების და მისი შესწავლის შედეგად.

ღალიის მონასტერი მძლავრი მნიგნობრული მოღვაწეობის კერას წარმოადგენდა, რომელიც X საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოებით 965-980 წლების პერიოდშია დაარსებული. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მისი მშენებლობა დავით III კურაპალატის ინიციატივით უნდა დაწყებულიყო, სწორედ იმ დროს, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა იყო (დაახლოებით 912-969 წლები). მონასტრის განახლების მნიშვნელოვანი ეტაპი უკავშირდება დავით IV აღმაშენებლის სახელს, ხოლო ღალიის მონასტერში განხორციელებული დიდი მშენებლობის კიდევ ერთი დიდი ეტაპი საქართველოში თამარის მეფობასთანაცაა დაკავშირებული. მონასტერი დაფუძნებისთანავე ქართული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. მის შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვება სხვადასხვა წერილობით წყაროებში. ღალიის მონასტერი ნახსენებია დავითისა და თამარის ისტორიკოსებთან, მის არსებობაზე მიუთითებს XV საუკუნის უცნობი ავტორის თხზულება „ნიკოლოზ დვალის ნამება“, ვატიკანის არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელშიც საუბარია კვიპროსის სამ მონასტერზე, რომელთაგან მკვლევრები სწორედ ერთ-ერთზე ვარაუდობენ, რომ ის ღალიის მონასტერი უნდა იყოს და კიდევ მრავალი ასეთი წყაროა, რომლებიც მისი არსებობასა და დიდ მნიშვნელობაზე არსებულ ეჭვებს ფანტავდნენ. კვიპროსის ქართული სიძველეებისადმი ინტერესი საქართველოში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაცხოველდა. ამ თემაზე იბეჭდებოდა უამრავი სტატიები, ხოლო მისი აღმოჩენის პატივი წილად ხვდა ამერიკაში მცხოვრებ ქართველ მეცნიერს – ვახტანგ ჯობაძეს. ნანგრევებად ქცეული ტაძარი კი მოითხოვდა ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარებას, რაც განხორციელდა 2006-2010 წლებში. ჩატარდა ექვსი საველე კამპანია, აღმოჩენილ იქნა უამრავი არქეოლოგიური მასალა, წარწერები, იქ არსებული ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავენ კვიპროსზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლალის მონასტრის შესწავლის საქმეში სამუშაოები ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მისი ისტორია კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს, ამიტომ მნიშვნელოვნად მიმართა ლალის მონასტრის, მისი ისტორიის, აღმოჩენილი მასალის დანვრელებით განხილვა და მისით დაინტერესებული ადამიანებისათვის მეტი საინტერესო ინფორმაციის მიწოდება.

ნიკოლოზ კინძარიშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი

ქართული კულტურის ძეგლი – ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია

ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია ისტორიული ჰერეთის უმნიშვნელოვანესი სალოცავია. იგი ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს, კახის რაიონში. მისი აშენების თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ისტორიულ წყაროებში ქურმუხის ეკლესიის შესახებ ცნობები მერვე საუკუნის ანონიმურ მატრიანეში და მეთოთხმეტე საუკუნის მაღალაშვილისეულ სახარების მინაწერშია დაცული. დღევანდელი ნაგებობა ძველის ადგილზე უფრო გვიანდელია (მეცხრამეტე საუკუნეში ხუროთმოძღვარ ბილფელდის მიერ). ეს არის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც მთაზე დგას და გადმოჰყურებს საინგილოს. ბოლოს 2004-2005 წლებში ჩაუტარდა მას სარესტავრაციო სამუშაოები აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს მიერ.

ისტორიული ჰერეთის – საინგილოს შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალაშიც აქტიურად ფიგურირებს ქურმუხის წმ. გიორგის სალოცავი. ზ. ედილის ცნობებით გიორგობის დღესასწაულზე (10 ნოემბერს) აქ იკრიბებოდნენ ადგლობრვი როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი მოსახლეობა, ასევე სომხებიც ზაქათალიდან. წმინდა გიორგი საერთო სალოცავად ითვლებოდა ყველასთვის და

შესაბამისად ყველას მოვალეობა იყო დღესასწაულში მონაწილეობის მიღება. ხალხი წინა დღიდან იწყებდა შეკრებას და მთის ძირას ათევდნენ ღამეს. მეორე დღით აუყვებოდნენ გზას სალოცავისკენ, სადაც სამსხვერპლო ცხვრებიც მიჰყავდათ, რომელთაც კურთხევის შემდეგ დაკლავდნენ და იმართებოდა პურობა. მას ახლდა ცეკვა-თამაში და მხიარულება. როგორც ზ. ედილი აღნიშნავს, ინგილოთა ერთფეროვან ყოფაში ამ დღესასწაულს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, იგი საშუალებას იძლეოდა დარღვეულიყო ყოველდღიურობის რუტინა და ახალი ძალებით აევსო მოსახლეობა. ქურმუხობის დღესასწაულის მიხედვით იყო განსაზღვრული ქორწინების პერიოდიც. ქურმუხობამდე ერთი თვით ადრე იგზავნებოდნენ მაჭანკლები საპატარძლოს ოჯახში და მოლაპარაკების შემთხვევაში ქორწილი ქურმუხობის შემდეგ დღეებში იმართებოდა.

ქურმუხის სალოცავი დღესაც განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა. მართალია იგი ამჟამად არ არის მოქმედი ეკლესია, მაგრამ წელიწადში ორჯერ – გიორგობის დღესასწაულზე ქართველი მომლოცველები სტუმრობენ და წირვაც აღევლინება. ქურმუხობა აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებისთვის მათი იდენტობის ერთ-ერთი მარკერია.

ლალი ელიზბარაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

დოლისყანა – შუა საუკუნეების ქართული ტაძარი კლარჯეთში

ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი აშოტ კურაპალატი დაახლოებით 813 წელს გაურბის არაბთა ბატონობას, გადადის სამხრეთ საქართველოში, აღორძინებს ქალაქ არტანუჯს და ქმნის სახელმწიფოს, რომელშიც შედის: შავშეთი, კლარჯეთი და ა.შ. სამფლობელს იყოფენ მისი შვილები: ტაო – ადარნასეს, კლარჯეთი

ბაგრატ I-ს ერგო, ხოლო გუარამს ჯავახეთი, თრიალეთი და სხვა. გუარამის შტო მისი ვაჟის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა. შემდეგ ბაგრატიონთა შტო ორ ნაწილადაა გაყოფილი. დოლისყანის მონასტერი, კლარჯი ბაგრატიონების აშენებულია. ის მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში (დღ. თურქეთი, სოფ. ჰამამლი ქოი). მონასტერი ნახსენებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის შემორჩენილი ტაძარი შედარებით გვიანაა ნაგები, მაგრამ დოლისყანა, როგორც პუნქტი მანამდეც არსებობდა. სუმბატ დავითის ძის ცნობით, აქ იდგა აშოტ კურაპალატის ლაშქარი 826 წელს, მაშინ, როდესაც ის მოკლეს.

ტაძრის კედლებზე შემორჩენილი წარწერები, დალარილებაში გვეხმარება. ტაძრის ქტიტორად მოხსენიებულია ადარნასე ქართველთა მეფის შვილი სუმბატ კურაპალატი „ქ(რისტ)ე ად(ი)დ(ე)ნ მეფე ჩ(უე)ნი ს(უმ)ბ(ა)ტ“. ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით დიმიტრი ბაქრაძესთან და სხვებთან. წარწერებში ჩანს მისი ძმა ბაგრატიც. ამგვარად, წარწერებიდან გამომდინარე, დოლისყანის ეკლესიის მშენებლობა, როგორც პროფ. ნოდარ შოშიაშვილი ფიქრობდა, X საუკუნის I ნახევრით უნდა დათარიღდეს, ამ მოსაზრებას, იზიარებდა ასევე, ვახტანგ ჯობაძე.

ტაძრის კედლებზე გაკეთებულია ასომთავრული წარწერები, ჩვენამდე რამდენიმე დაზიანებული სახით მოაღწია. „ქ(რისტ)ე ადიდე მეფჳ ჩ(უე)ნი ს(უმ)ბ(ა)ტ მზ(ე)გრძ(ელო)ბ(ი)თ“, „შ(ეი)ქმნ(ა) (ე)ს(ე) ჴ(ე)ლ (ი)თა გ(ა)ბრ(იე)ლ დ(ია)კ(ო) ნ(ი)ს(ა)ჲ თა“, „წ(მიდა)ო სტეფანე (შეიწყალ)ე მ(ო)ძლ(უა)რი გ(ა)ბ(რიე)ლ“ და სხვ.

დოლისყანის ტაძარი დღეისთვის დაზიანებულია, თუმცა გუმბათიანად არის შემორჩენილი, განადგურებულია სხვა ნაგებობები. მთავარი ტაძრის შენარჩუნებაში დიდი როლი ითამაშა, მისმა მეჩეთად გადაკეთებამ. 1970-80-იან წლებში შენობა კარგად იყო მოვლილი, იმდროინდელი იმამის ინიციატივით შეკეთდა ჩამოშლილი ადგილები, ეკლესია ნგრევას გადაურჩა. ტაძრის ზოგიერთ ნაწილს ეტყობა იმ დროის მშენებლობის კვალი, როდესაც მეჩეთი იყო. მაგრამ, მარტივად გამოირჩევა ახალი და თავდაპირველი მშენებლობის ფენები. 1999 წელს სოფელში ახალი მეჩეთის აშენების გამო, დოლისყანის ტაძრიდან მეჩეთი გადაიტანეს. სამხრეთის კა-

რის მონაკვეთში გვიანდელი მიშენების მოხსნის შემდეგ, კიდევ გამოჩნდა წარწერების კვალი.

ნინო ახალაია

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე

ათონის ქართველთა მონასტრის „საალაპე წიგნი“, როგორც ისტორიული წყარო

ათონის ქართველთა მონასტრის „საალაპე წიგნი“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროა, რომელიც ეხება ათონის მთაზე არსებულ ქართველთა მონასტერში მიმდინარე კულტურული საქმიანობისა და საეკლესიო ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებს. იგი აღწერს ქართველთა მოღვაწეობას ათონის მთაზე, ასევე მათ როლს მართლმადიდებლურ სამყაროში და, ასევე, ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობაში.

ათონი მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცენტრი იყო არამხოლოდ ბერძნებისათვის, არამედ სხვადასხვა კულტურული თუ სულიერი ტრადიციების მქონე ხალხების, მათ შორის ქართველებისთვისაც. „საალაპე წიგნი“ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ როგორ ჩაერთო ქართული საზოგადოება აღნიშნულ პროცესში და რამდენად მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა იგი ათონის მთაზე. მასში არსებული მონაცემები განსაკუთრებით ღირებულია ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად.

„საალაპე წიგნში“ ხშირად გვხვდება ცნობები მიწების, მონასტრის სიმდიდრეების, შემოწირულობებისა და ქონების შესახებ. ამავე დროს, „საალაპე წიგნი“ შეიცავს საინტერესო ინფორმაციას იმ საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობებზეც, რომლებიც მონასტერსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობდა. იმთავითვე იგი ერთ-ერთი ფუნდამენტური წყაროა მონასტრის წინამძღვართა რიგის დასადგენად.

ამდენად, ათონის ქართველთა მონასტრის „საალაპე ნიგნი“ წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს, რომელიც გამოგვცემს ღრმა ცოდნასა და შინაარსს ქართული ეკლესიის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის შესახებ. აღნიშნული საკითხის კვლევა საჭიროა, რათა კარგად გავიაზროთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათონს საქართველოს ისტორიის, პოლიტიკის, კულტურისა და ეკონომიკის კუთხით. სწორედ აღნიშნული საკითხების კვლევა-ძიება წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს.

დიმიტრი ხოფერია

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ბანა – „ქართველთა სამეფოს“ კულტურული და პოლიტიკური ცენტრი

ბანას ტაძარი უდიდესი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის მატარებელი ძეგლია საქართველოსთვის. ბანა, საუკუნეთა განმავლობაში ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების დიდ ინტერესსა და აღფრთოვანებას იწვევდა და დღემდე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მის შესახებ საყურადღებო ნაშრომები შექმნეს (კ. კოხი, ე.თაყაიშვილი, ვ.ჯობაძე, რ. მეფისაშვილი, ვ. სილოგავა, ზ. სხირტლაძე და სხვა).

ერთ დროს საქართველოს ფარგლებში შემავალი ტაძარი კარგად ავლენს სხვა კულტურასთან თანაზიარობას. ერთი შეხედვით ის არაფრით არ გავს სხვა რომელიმე ქართულ ეკლესიას, თუმცა მისი დეტალური შესწავლა ადასტურებს, რომ ის წარმოადგენს სხვათა და ადგილობრივი ტრადიციების საოცარ ნაზავს. მრავალი ხუროთმოძვერული დეტალი ცხადად აჩვენებს მსგავსებას ისეთ ნაგებობებთან, რომლებიც ფიქსირდებოდა მესოპოტამიაში, სირიაში, სომხეთში, ბალკანეთში, საბერძნეთსა თუ ეგვიპტეში. უნდა

აღინიშნოს, რომ გარკვეული ელემენტები არქიტექტურულ ნაწილში იმეორებენ წარმართული, კერძოდ სასაანური ირანის ხელოვნების ხასიათსაც კი (ვახტანგ ჯობაძე), თუმცა აქვე ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ეს მსგავსებები გამოხატავენ მხოლოდ სხვა ქვეყნის ძეგლებთან გარკვეულ თანაზიარობას. ძირითადად კი ბანა აგებულია თავისებური, ადგილობრივი, ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციების საფუძვლებზე, რაც მის განსაკუთრებულობას ხაზს უსვამს. აღსანიშნავია ასევე ბანას კულტურული მნიშვნელობა, მისი როლი ქართული მნიშვნელობის განვითარებაში, მისი წარმომადგენლების დიდი ღვაწლი ქართული საქმისთვის. გასათვალისწინებელია ის, რომ ბანას შექმნა ემთხვევა ქართველი ერის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღმავლობას.

მას პირველად XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე იხსენიებს, როცა აღნიშნავს, რომ ტაძარი ადარნასე ბაგრატიონმა ააგო (IX-X საუკუნეები). ბანას მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ X საუკუნიდან ტაოს პოლიტიკური ცენტრი იყო. ერთი პერიოდი ის მეფეთა სამყოფელად და განსასვენებლადაც გვევლინება. აქ დაინერა ჯვარი ბაგრატ IV-მ.

ბანას პოლიტიკური სტატუსიდან გამომდინარე სულაც არაა გასაკვირი ის თუ როგორი კულტურული მოღვაწეობა მიმდინარეობდა აქ. საუკუნეთა განმავლობაში ბანა იყო ქართული სულიერების და სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთ-ერთი მთავარი კერა. ეს და სხვა საინტერესო ფაქტები წარმოაჩენს ქართველი ერის სახეს, მის ჰარმონიულ-კულტურულ ურთიერთობას გარე სამყაროსთან და ამ სიახლეების ბუნებრივ შეხამებას საკუთარ ორიგინალურ არქიტექტურულ სტილთან. ასევე ბანას როლს იმდროინდელი ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ჩამოყალიბებაში.

მარიამ სამადაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ოშკის ტაძარი და მისი დაფარული სიძველეები

ქართული კულტურა ყოველთვის მდიდარი იყო სამონასტრო კომპლექსებითა და ეკლესიებით. ჩვენი მრავალწლიანი ისტორიული იდეოლოგია ძირითადად ეფუძნებოდა მართმადიდებელობასა და ქრისტიანულ მრწამსს. ამიტომ გასაკვირი არ იქნება, რომ ქართული მიწა ყოველთვის იყო შემკული უძვირფასესი ეკლესია მონასტრებით, რომელთა შორის გამორჩეულია ოშკის საკათედრო ტაძარი. იგი აგებულია იოანე ნათლისმცემლის სახელზე, ისტორიულ ტაოში (დღ. სოფ. ჩამლიამაჩი) და X საუკუნის 50-60-იანი წლების ქართულ სამონასტრო ცენტრს წარმოადგენდა. ოშკის მშენებლობა ტაოს ბაგრატიონთა შთამომავლობის – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის (დავით III კურაპალატის) სახელს უკავშირდება. გარდა ამისა, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ზემოთხსენებული სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა წმ. გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატის შემწეობით. ოშკის ტაძარი თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით, რელიეფებით, ორნამენტებითა და ტაძარზე მოთავსებული ძველი ქართული ასომთავრული წარწერებით, გამორჩეულია ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის. ოშკის შესახებ ნაშრომები ეკუთვნით მარი ბროსეს, ექვთიმე თაყაიშვილს, ვახტანგ ჯობაძეს, ვალერი სილოგავასა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნეში ეს ტერიტორია დაიპყრო ოსმალეთის იმპერიამ, რის გამოც მონასტერი მიტოვებული დარჩა. ამას ემატება ისიც, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ოშკი, ადგილობრივი მოსახლეობის გამუსლიმების შემდეგ, XX საუკუნის ბოლომდე (1983 წწ) გამოიყენებოდა მეჩეთად.

ახალი მეჩეთის აგების შემდეგ, ოშკის ტაძარში მოწყობილი მეჩეთი დაშალეს და ამის შემდეგ აქ აღმოჩნდა ძეგლის უმნიშვნელო-

ვანესი დეტალები, კერძოდ, ფრესკა, რომელზედაც აღმოჩენილია ბანას ტაძარში გამართული ბაგრატ IV-ის ქორწილის გამოსახულება და წარწერა. ასევე ტაძრის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, ვედრების კომპოზიციით წარმოდგენილი სამი ფიგურა – დავით მაგისტროსის, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი გრიგოლის, რომელსაც, ჩანს, დიდი ღვანლი მიუძღვოდა ტაძრის აშენებასა და მორთვაში. მისი სახელიც ტაძარში მრავალგან არის აღბეჭდილი სხვადასხვა ფორმით. ოშკი ხანგრძლივი უყურადღებობის გამო, მძიმედ დაზარალდა, რის გამოც დროთა განმავლობაში თაღების დიდი ფართობი ჩამოინგრა და დღეს ძეგლის დიდი ნაწილი საგანგაშო მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, მოხსენების ერთ-ერთი მიზანი ისიც არის, რომ საზოგადოებაში მეტი ინტერესი გაჩნდეს ოშკის შესახებ. მისი სიძველეების აქტიურად შესწავლა და რესტავრაციაზე მუშაობა აქტუალური უნდა იყოს, რადგან ტაძარი ჩამონგრევის საფრთხის ქვეშ არის, მისი კიდევ უფრო მეტად დაზიანება კი დიდი დანაკლისი იქნება, როგორც ქართული კულტურისა და ისტორიისთვის, ისე, ზოგადად, მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისთვის.

შოთა კენტოშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – აკადემიკოსი, პროფესორი ჯაბა სამუშია

„ზემონი ქვეყანანი“ და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა X საუკუნეში

საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა X საუკუნეში საკმაოდ ცვალებადი და რიგ შემთხვევებში დაძაბულია, ვინაიდან საქმე ეხება ორი მნიშვნელოვანი ძალის ინტერესების კვეთას. ერთის მხრივ, ეს არის ბიზანტიის იმპერია და ბასილი II კეისარი, რომელსაც დაძაბული დაპირისპირება აქვს არაბებთან

და ამავდროულად ქვეყნის შიგნით თავს იჩენს აჯანყება ბარდა ფოკას თაოსნობით. მეორეს მხრივ, ეს არის ტაოს მეფე, დავით III კურაპალატი, რომელიც ცდილობს კეისრის მიერ არაბების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლისა და ქვეყნის შიგნით დაწყებული აჯანყების გამოყენებას. დავით III საკუთარი სამფლობელოების გაფართოებას ცდილობდა არა დროებითი შეთანხმების საფუძველზე, როგორც ეს მოხდა 978 წელს, როდესაც ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში დახმარების სანაცვლოდ ბასილი II-მ მას გადასცა გარკვეული ტერიტორიები, რომელიც ცნობილია, როგორც „ზემონი ქვეყანანი“, არამედ ცდილობდა ამ ტერიტორიების მუდმივ საკუთრებად გადაქცევას. შესაბამისად, ვხედავთ, რომ დავით III ამ აჯანყებაში მხარს უჭერს არა იმპერატორს, არამედ აჯანყებულ ბარდა ფოკას.

დავით III-თვის ზემონი ქვეყანანის გადაცემასთან დაკავშირებით მრავალი კითხვა ჩნდება. კერძოდ, საინტერესოა ვინ იყო თავად დავით III კურაპალატი, რა ტერიტორიები ჰქონდა მას უშუალოდ მუდმივ საკუთრებაში და რა ტერიტორიები შეიძინა ან დაკარგა ბარდა სკლიაროსის და მოგვიანებით ბარდა ფოკას აჯანყების შემდეგ. ასევე, საინტერესოა თავად პოლიტიკური სიტუაცია იმ პერიოდისა თუ რამ აიძულა ან დააინტერესა დავით III რომ ჩართულიყო ბიზანტიის იმპერიის შიგნით დაწყებულ აჯანყებებში და რატომ გადასცა იმპერატორმა მას მაინცდამაინც „ზემონი ქვეყანანი“. ინტერესს იჩენს ის საკითხიც თუ რა პოლიტიკური ინტერესი გააჩნდა დავით კურაპალატს ამ ტერიტორიის მიმართ. ასევე ის საკითხიც მოითხოვს ყურადღებებს, ეს ტერიტორიები კეისარმა დავითს უშუალოდ დაუთმო თუ მას დართო ნება ამ ტერიტორიების დაპყრობის შემთხვევაში დაკავების ან შეთანხმება რა პირობებით დაიდო ამ ტერიტორიებთან დაკავშირებით ბარდა ფოკას აჯანყების შემდეგ. მოხსენებაში აღნიშნული საკითხების გარკვევას ვეცდებით.

გვანცა დარასელია

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე

პეტრიწონის მონასტრის წესდება – ქართული სამონასტრო თემის შემაკავშირებელი დოკუმენტი

პეტრიწონის სავანე დაარსებულია ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის დიდი დომესტიკოსის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ. მან 1083 წელს, ბულგარეთში ააშენა პეტრიწონის მონასტერი, რომელსაც 1084 წელს ტიპიკონი შეუდგინა. ამჯერად, სწორედ ამ წესდებაზე მინდა ყურადღება გავამახვილოთ.

XI საუკუნის ხსენებული ტიპიკონი შედგება 33 და რამდენიმე დამატებითი თავისგან, რომლებიც ცალკე თავებად არ არის გამოყოფილი. ტიპიკონი გრიგოლმა ორ, ქართულ და ბერძნულ, ენებზე შეადგინა. ქართულად, რადგან ქართველ ბერებს წელიწადში რამდენჯერმე წაეკითხათ და ამ განაწესის მიხედვით ემოქმედათ. ბერძნულად კი იმიტომ, რომ სახელმწიფო ენა იყო და იურიდიული ძალა ბერძნულად შედგენილ ტექსტს ენიჭებოდა.

როგორც მოგეხსენებათ, პეტრიწონი იმ დროს იქნა აგებული, როდესაც ბერძნები ქართველებს ავიწროებდნენ, ქართული სამონასტრო თემების დაუფლების მიზნით. გამომდინარე აქედან, ტიპიკონის 24-ე თავში გრიგოლი კრძალავს პეტრიწონის მონასტერში ბერძნების მიღებას: „არასოდეს ამ ჩემს მონასტერში ბერძენი ხუცესი არ იქნეს დამკვიდრებული, გარდა ერთი მდივნისა, რომელმაც იცის წერა და რომელიც ხანდახან მთავრებთან გაგზავნის წერილს წინამძღვრისაგან, და მათთან გაგზავნილს ამისგან უკან დაიბრუნებს, და მონასტრის საქმეებს წარმართავს. XVII ს-ში პეტრიწონის სავანე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაექვემდებარა, ამან იმთავითვე ხელი შეუწყო პეტრიწონში ბერძნების გაბატონებას. მონასტერი შეაკეთეს და ბაჩკოვოს მონასტერი უწოდეს.

თუმცა ტიპიკონი დარჩა, როგორც ისტორიული დოკუმენტი. წესდება, რომელიც ამჟამად სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება, წარმოადგენს ტიპიკონის ასლს.

მისი მეცნიერული კვლევა 1888 წელს იწყება, როდესაც ამ დოკუმენტით ბერძენი მკვლევარი გიორგი მუსეოსი დაინტერესდა. აქვე მნიშვნელოვანია აკაკი შანიძის მიერ გაკეთებული ფილოლოგიური ანალიზი ქართულ და ბერძნულ ტექსტებს შორის ურთიერთიმართების შესახებ, რომლითაც მან დაადგინა, რომ გვიანდელ ბერძნულ ხელნაწერში გარკვეული ცვლილებელია შეტანილი და რომ ქართული ტექსტი პირვანდელი სახითაა დაცული.

პეტრინონის ტიპიკონი, როგორც XI საუკუნის ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლთაგანი, ისტორიული თვალსაზრისით დიდი დატვირთვის მქონეა, ვინაიდან მას იმდროინდელი ქართული სამონასტრო თემისთვის ძლიერი შემაკავშირებელი ძალა გააჩნდა. მოცემული წესდების ამ ჭრილში განხილვა, ვფიქრობ, ფრიად მნიშვნელოვანი იქნება დაინტერესებული მკითხველისთვის.

ნინო ინდუაშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე

გრიგოლ ბაკურიანის ძის როლი შუა საუკუნეების ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

XI საუკუნის ქართულ-ბიზანტიური კავშირ-ურთიერთობები ხანგრძლივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ურთიერთობათა რთულ ციკლს წარმოადგენდა. ამ პერიოდში ბევრი ქართველი მსახურობდა ბიზანტიის არმიამში, ხელმძღვანელობდა გარნიზონებს, იღებდა მაღალ ბიზანტიურ ტიტულებს და მონაწილეობდა იმპერიის მნიშვნელოვან სამხედრო კამპანიებში. ქართველ მებრძოლთა სამხედრო და დიპლომატიური გამოცდი-

ლება, ბრძოლის ველზე ტაქტიკური მანევრირების უნარი ხშირად გარდამტეხი ხდებოდა ბიზანტიის იმპერიის სამხედრო წარმატებისათვის. ამ უკანასკნელთა მოქმედება ხშირ შემთხვევაში ერთდროულად ემსახურებოდა როგორც ბიზანტიის, ისე საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებს და კავკასიის რეგიონში პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას განაპირობებდა.

ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ქართველთაგან გამორჩეულია გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომლის მოღვაწეობა გადაჯაჭვულია ქართული ეროვნული ინტერესების დაცვასთან. ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, სამხედრო პატივი და იმპერიის კარზე შექმნილი მაღალი ავტორიტეტი საშუალებას აძლევდა ებრძოლა რეგიონში ქართული ინტერესების განმტკიცებისათვის. გრიგოლის უშუალო მონაწილეობით ქართველთა ხელში გადავიდა კარის (ყარსის), სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა გამგებლობაში მყოფი ციხეები. ეს იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკის საგრძნობი წარმატება. სიმბოლურია, რომ ეს საქმე სწორედ გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელით განხორციელდა.

გრიგოლ ბაკურიანის ძემ საკუთარი სახსრებით დააარსა პეტრიწონის ქართველთა მონასტერი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართველთა სულიერ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. მონასტრის ტიპიკონში საგანგებოდ ხაზგასმულია: „ესე ციხენი და სოფელნი და პრასტინნი ყოველნივე, რომელნიცა შევწირენით და მივსცენით წმიდასა ეკლესიასა ჩვენსა და მონასტერსა ქართველთასა პეტრიწონისასა“. ამდენად, ბიზანტიის იმპერიაში გრიგოლ ბაკურიანის ძის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობა ერთგვარად საქართველოს სამინაო და საგარეო პოლიტიკურ საქმიანობებთან შესაბამისობაში მოდიოდა.

მოპოვებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად მოხსენებაში განხილულია XI საუკუნის ქართულ-ბიზანტიული ურთიერთობების ხასიათი და ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ქართველი მხედართმთავრის, ბიზანტიის დიდი დომესტიკოსის – გრიგოლ ბაკურიანის ძის როლი შუა საუკუნეების ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თემურ მეზურნიშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

დავით IV აღმაშენებლის ჯვრის უჩვეულო თავგადასავლის შესახებ

XII-XIII საუკუნეების ევროპულ წყაროებში დაცულია ცნობები აღმოსავლეთში მცხოვრები „იოანე ხუცესის“ შესახებ, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში გაიგივებულია დავით აღმაშენებლის პროტოტიპთან. ჯვაროსნული ომების ეპოქაში, როდესაც სარაციონებთან მებრძოლ ევროპელ რაინდებს შემოაკლდათ რესურსები და ძალები სწორედ დავით აღმაშენებლის 1121 წლის 12 აგვისტოს გამარჯვება მიიჩნიეს იმედის სხივად. აღმაშენებლისა და ჯვაროსნების კონტაქტების შესახებ მრავალი ცნობა არსებობს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართველთა მონარქის იმჟამინდელი ტერიტორიული საზღვრები თავისუფლად ემზობლებოდა ჯვაროსანთა მიერ ჩამოყალიბებულ სამეფოებს – ედესის საგრაფოსა და ანტიოქიის სამთავროს.

ფრანგი ბერის ანსელუსის თანახმად, 1108-1109 წლებში იერუსალიმში ყოფნისას მან დავითის ქვრივისაგან შეიძინა „ძელი ცხოველის“ ჯვარი, რომელიც აღმაშენებლის პირადი საკუთრება და ბაგრატიონთა გვარის ერთგვარი რელიკვია ყოფილა. გადმოცემის მიხედვით, აღნიშნული სინმინდე ფრანგ ბერს საფრანგეთში გაუგზავნია და პარიზის ღვთისმშობლის (ნოტრ-დამის) ტაძრისთვის მიუბარებია. კითხვის ნიშნებს ბადებს ის, რომ ამ დროს დავითი ცოცხალი იყო და ჯერ ისევ პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა, გაუგებარია ანსელუსი რატომ მოიხსენიებს დავითის მეუღლეს ქვრივად.

დავით აღმაშენებლის ჯვარი პარიზში დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა. იგი რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და მისი ლუსკუმა ძვირფასი, აღმოსავლეთისთვის სახასიათო თვალ-მარგალიტით ყოფილა შემკული. 1793 წელს როდესაც საფრანგეთის

დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია დაიწყო, რევოლუციონერებმა ნოტრ-დამის საცავი გატეხეს და ძვირფასეულობის კონფისკაცია მოახდინეს. იგივე ბედი ეწია დავითის ჯვარსაც, რომელიც 1804 წლის შეფასებების მიხედვით, რამდენიმე ნაწილად გაყვეს და მისგან დამზადებული მხოლოდ სამი მცირე ზომის ჯვარი ეზიარა დღის სინათლეს. პარიზის არქიელ-კარდინალმა ამოიცნო ისინი და აღიარა მათი რეალურობა. ჯვრის დანარჩენი ნაწილების ბედი უცნობია. ინტერესს იწვევს და, გარკვეულწილად, ეჭვებსაც ბადებს აღნიშნული სინძინდის ქვეყნიდან ასე უპრობლემოდ გატანისა და მისი გაყიდვის ფაქტი. ზოგადად, დავითის ქვრივის, ანუ ამ გადმოსახედიდან პირველი მეუღლის ვინაობის შესახებ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებებია. დავით აღმაშენებლის ჯვრის ისტორიას შესაძლოა ხსნიდეს ბალდუინ ბულონელის პანეგირისტის ცნობები, რომლის მიხედვითაც, დავით აღმაშენებელი იერუსალიმის ბატონს უგზავნის „ინსიგნიებს“. რა შეიძლება ყოფილიყო ინსიგნიების შემადგელობაში მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ლუკა ნებიერიძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

შუასაუკუნეების ქართველი დაქირავებული მეომრების საკითხი

შუა საუკუნეების საქართველოში, ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, ლაშქრობა მეფის მიმართ არსებულ სამხედრო ვალდებულებას წარმოადგენდა, რომლის შესრულების შემთხვევაშიც მოლაშქრე არანაირ ფინანსურ გასამრჯელოს არ იღებდა (აქ არ იგულისხმება ნადავლის გაყოფა, რომელიც ფართოდ გავრცელებული წესი იყო). განსხვავებული ვითარება იყო დასავლეთ ევროპაში, სადაც, მაგალითად, ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებს ლაშქრის

მოტივაციის ამალგების მიზნით ხშირ შემთხვევაში საკუთარი ვასალების დაქირავება უნევდათ. აღნიშნულს ემატებოდა არაადგილობრივი, უცხოელებისაგან შემდგარი სამხედრო შენაერთები, რომლებიც ასევე ევროპელი მონარქებისაგან ფულს იღებდნენ თავიანთი სამსახურის სანაცვლოდ. ამ ფორმულას თუ გავყვებით, მაშინ გამოდის, რომ შუასაუკუნეებში ევროპული არმიები მთლიანად „დაქირავებული“ მეომრებისაგან შედგებოდა, რაც რა თქმა უნდა, მაინც და მაინც სწორი არ იქნება. შესაბამისად, საჭიროა განიმარტოს რას ნიშნავს „დაქირავებული მეომარი“. ჩვენი აზრით, აღნიშნული შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: დაქირავებული მეომარი არის არაადგილობრივი, უცხოელი სამხედრო პირი, რომელიც მონაწილეობას იღებს დამქირავებლის მიერ მონყობილ სამხედრო მოქმედებებში და სამსახურის სანაცვლოდ იღებს რაიმე სახის ფინანსურ გასამრჯელოს (ფული, საჩუქარი, ნადავლი და ა.შ.).

აღნიშნულ მოხსენებაში ამ განმარტების მიხედვით განვიხილავთ დაქირავებული ქართველი მეომრების საკითხს ანუ როგორ ხდებოდა უცხო სახელმწიფოებში მყოფი ქართველების დაქირავება და რა როლს ასრულებდნენ ისინი ამ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ კუთხით საინტერესო ცნობები მოიპოვება ბიზანტიურ წყაროებში. ნიკიტა ხონიატის ცნობით, ბიზანტიის კეისრის მანუილ I კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ (1180 წწ) სამეფო კარზე შექმნილი არეულობის დროს, მანუილ I-ის მემკვიდრის, ალექსი II-ის წინააღმდეგ მისმა ნახევარდამ, მარიამმა კონსტანტინოპოლში მყოფი იბერიელები დაიქირავა: „მან (ე.ი მარიამმა – ლ. ნ.) შეაგროვა მძიმედშეიარაღებული იტალიელები და დაიქირავა მამაცი **აღმოსავლელი იბერიელები** (ხაზი ჩემია – ლ.ნ) სავაჭრო დავალებებით სატახტო ქალაქში მყოფნი“ (გეორგიკა. VI, გვ. 128). იმავე ავტორის ცნობით დაქირავებული იბერიელები ჩანან ისააკ II ანგელოსის (1185-1195 წწ) დროს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში, კერძოდ აჯანყებული ალექსი ვრანას წინააღმდეგ ჯარის შეკრების მიზნით იმპერატორმა თავის სიძეს, კონრად მონფერატელს დიდი რაოდენობით ფული გადასცა. კონრადის მიერ დაქირავებულ მეომრებს შორის „აღმოსავლელი იბერიელებიც“ იხსენიებიან:

„ჩაენერნენ ჯარში ისმაელიტთაგან და აღმოსავლელ იბერიელთაგან, რომლებიც სამეფო ქალაქში სავაჭროდ იყვნენ გამოგზავნილი“ (გეორგიკა. VI, გვ. 129).

აუცილებელია აღინიშნოს ქოსე დალის ბრძოლა (1243 წწ), თურქი ისტორიკოსის იბნ ბიბის ცნობით, რუმის სულთნის მხარეს დაქირავებული ქართველი მეომრებიც იყვნენ წარმოდგენილნი. ჟამთააღმწერელი მათი ვინაობის შესახებაც გვანვდის ინფორმაციას. ესენი იყვნენ დარდინ შერვაშიძე (წარმოშობით აფხაზი) და ფარადავლა, შალვა თორელ-ახალციხელის შვილი. ორივენი თავიანთ ქართულ რაზმებთან ერთად რუმის სულთანმა წინამბრძოლებად განალაგა.

საერთო ჯამში, ვფიქრობ, რომ შუასაუკუნეებში დაქირავებული ქართველი მეომრების საკითხი საკმაოდ საინტერესოა და ჩვენს ყურადღებას იმსახურებს.

გიორგი გოგისვანიძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

გურჯი-ხათუნისა და მისი სავარაუდო საფლავის შესახებ

გურჯი-ხათუნი თამარ მეფის შვილიშვილი, რუსუდანის შვილი გახლდათ. იგი 1236 წელს 13 წლის ასაკში მიათხოვეს სელჩუკთა სახელგანთქმულ ახალგაზრდა მბრძანებელს, ყიას ედ-დინ ქეიხუსრევ II-ს რუმის სასულთნოში. იმ დროის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპარეზზე საინტერესო პოზიციები ჰქონდა მოპოვებული რუმის სასულთნოს.

გურჯი-ხათუნის ცხოვრება ძალიან საინტერესო იყო და მისი, როგორც ინტელექტუალური ქალის სახე იმ დროის მუსლიმანურ სამყაროში მეტად დაფასებული გახლდათ. გურჯი-ხათუნმა ნამდვილად შეძლო იმდროინდელ მუსლიმანურ სამყაროში ღირსეუ-

ლი სახელის დამკვიდრება. სულთანს იმდენად ჰყვარებია იგი, რომ XIII საუკუნეში მის მიერ მოჭრილ მონეტაზე გამოსახა მზის სახით, რადგან მუსლიმანური კანონი სახისა და თანაც ქალის გამოსახვას სასტიკად კრძალავდა. აქვე ჩემს ყურადღებას იქცევს, გურჯი-ხათუნის მეგობრობა სახელგანთქმულ ფილოსოფოს და პოეტ მევლანა ჯალალ-ედ-დინ რუმთან და ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მას დამსახურებული ადგილი ეჭირა რუმის მუსლიმანურ სამყაროში.

თურქეთის ქალაქ ერზრუმში, პასინლერის რაიონში ჩატარდა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის, ხელოვნების პროგრამის ხელმძღვანელი მუჰამედ არსლანი და ერზრუმის მუზეუმის დირექტორი, არქეოლოგი ჰუსულუ გენჩი, მათ 2019 წელს აღმოაჩინეს საფლავი, რომელიც, სავარაუდოდ, სულთან ალაედინ ქეიყუბად მეორეს და მის დედას, გურჯ-ხათუნად წოდებულ თამარს ეკუთნის. რამდენადაც იმ პერიოდის ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რუმის სულთანი ალაედინ ქეიყუბად მეორე მონღოლეთში სახელმწიფო მოხელეებთან შესახვედრად მიდიოდა, მან ერზრუმში დაისვენა, თუმცა მეორე დღით ის გარდაცვლილი იპოვეს. თანამედროვე წყაროების უმრავლესობა სულთნის გარდაცვალების მიზეზს არ ასახელებს, მაგრამ არსებობს წყაროები, რომლებიც საუბრობენ სულთნის შესაძლო მონამვლის ფაქტებზე. სულთანი ერზრუმში დაუკრძალავთ, სწორედ ამან განაპირობა გურჯი-ხათუნის ერზრუმში შესაძლო დაკრძალვა.

მოხსენებაში, დანვრილებით იქნება წარმოდგენილი ამ აღმოჩენის შესახებ არსებული მონაცემები.

ილონა კირაკოსიანი

ოსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის
სტუდენტი

ემმა პოლოსიანი

ოსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია

მედეას მითი ჯეფრი ჩოსერის შემოქმედებაში

ჯეფრი ჩოსერი, შუა საუკუნეების ცნობილი ინგლისელი მწერალი, თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებდა ანტიკური წყაროების გავლენას, როგორცაა ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ და ვერგილიუსის „ენეიდა“. მისი ნაწარმოები „დიდი ქალების ლეგენდა“ წარმოადგენს პოეტურ ნარატივებს, რომლებიც ქალთა სიყვარულსა და თავგანწირვას აღწერს. ერთ-ერთი გმირი, მედეა, ასოცირებულია საქართველოსთან, რადგან იგი კოლხეთის მეფის ასულია და მისი ისტორია ბერძნულ მითოლოგიაში ღრმადაა ჩაბმული.

მედეას მითი, რომელიც მაგიასა და სიყვარულის ტრაგედიას აერთიანებს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა როგორც ანტიკურ, ასევე შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში. ჩოსერისთვის მედეა ქალის მსხვერპლობის სიმბოლოა, თუმცა მისი წარმოდგენა ირონიითა და ტრადიციის მიმართ კრიტიკითაა გაჯერებული. საქართველოს ისტორიული კონტექსტი ჩოსერის ეპოქაში შუა საუკუნეების ევროპაში აღმოსავლეთის ეგზოტიკურ სამყაროსთან ასოცირდებოდა, რაც ამ მითების გავრცელებას უწყობდა ხელს.

მედეას მითი ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია ქართული კულტურული მემკვიდრეობისა, რაც კოლხეთის სიძლიერისა და სიბრძნის წარმოჩენაში აისახება.

ჩვენი ნაშრომი ზემოთხსენებული საკითხების წარმოჩენას ისახავს მიზნად.

ლაშა სამხარაძე

ოსუს-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი
**ხელმძღვანელი – ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს
ასოციაციის გამგეობის წევრი გიორგი ახალკაციშვილი**

ქართული გარნიზონები XV საუკუნის ოსმალური ანატოლიის ციხეებში (თორული, ჯეზრე, ჯენეჰაჰი)

XV საუკუნის მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და გეოგრაფიული ცვლილებების პერიოდია ისტორიაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა იმაში, რომ უალრესად გაძლიერებულია ოსმალეთის სახელმწიფომ სულთან მეჰმედ II-ის (1444-1446/1451-1481) მეთაურობით საბოლოოდ დაიპყრო „მეორე რომაე“ წოდებული ქალაქი კონსტანტინოპოლი და 1453 წლის 29 მაისს ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. ამით სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებს დიდი საფრთხე დაემუქრა, რადგან მათ რეგიონში ყველაზე გავლენიანი და მძლავრი მოკავშირე დაკარგეს.

ამ დროს საქართველოშიც რთული შიდა სოციალური და პოლიტიკური ვითარებაა. ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი VIII-ს უწევს ბრძოლა როგორც გარეშე მტრის, ასევე ქვეყნის მოღალატე მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ, რის გამოც ქვეყანა რეალურად უკვე სამეფო-სამთავროებად იშლება.

ოსმალები, რასაკვირველია, არ გაჩერებულან ბიზანტიის იმპერიის დაპყრობით და მალევე, 1461 წელს, ისინი ტრაპიზონის იმპერიასაც იპყრობენ, რითაც უშუალოდ გაუმეზობლდნენ საქართველოს. საყურადღებოა, რომ ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, როგორც ჩანს, ოსმალებს არ დაუკავებიათ ტრაპიზონის უშუალო შემადგენლობაში არსებული ყველა ციხე-სიმაგრე და ზოგიერთ მათგანს ქართველები დაეუფლნენ 1479 წლამდე. იბნ-ქემალის ცნობით, 1479 წელს უფლისწულმა ბაიაზიდმა სამი ქართული ციხე დალაშქრა, ესენია: თორულის, ჯეზრესა და ჯენეჰაჰის

ციხეები. აღნიშნული მოვლენა მართლაც საინტერესოა, ვინაიდან ამ სამ ციხე-სიმაგრეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ შედიოდა საქართველოს ტერიტორიულ შემადგენლობაში, დროებით მაინც ქართველები მართავდნენ. როგორც ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, ეს ქართველები, სავარაუდოდ, გურიელები და ათაბაგები უნდა ყოფილიყვნენ.

მოხსენება სწორედ ამ ციხეებს შეეხება. საკვლევი თემა მართლაც ინოვაციურია, რადგან ქართულ ისტორიოგრაფიაში თორულის, ჯეზრესა და ჯენეჰაჰის ციხე სიმაგრეების საკითხი ჯერ ფუნდამენტურად არ არის შესწავლილი, მხოლოდ ზოგადი ცნობებია. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება აღნიშნული ისტორიული ძეგლების შესახებ არსებული აღმოსავლური წყაროების ანალიზი და მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ოსმალების მიერ ამ ციხე-სიმაგრეთა საბოლოოდ დამორჩილების შესახებ.

მარიამ ხორბალაძე

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

კოპის ციხე და ხეობა, სიძველეები და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა

კოპის ხეობა მდებარებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმიერ ტაოში, დღეს კი იგი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ხეობის სათავეში სოფელი ბარდუსია, რის გამოც მას ბარდუსის ხეობადაც მოიხსენებენ.

ბარდუსის ხეობის დასაწყისში მდებარეობს ბარდუსის ციხე, რომლის თანამედროვე სახელწოდებაც გაზილერია. ევლია ჩელეები მის აშენებას აყყოიწილუს მეფე იზ ედ-დინს მიაწერს, ქართული წყაროებით და იქვე აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, გაცილებით

ბით ადრე, X საუკუნეშიც ციხე უკვე იყო აგებული. ხოლო კოპის ციხე, თანამედროვე თემურყიშლა, ხეობის ბოლოში, კლდეშია გამოკვეთილი. მდებარეობიდან გამომდინარე კოპის ციხე ხეობის მთავარ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. კოპის ხეობის მფლობელები XV-XVI ს-ში დანიშნურებული ფეოდალები, კოპაძეები არიან. ს. კაკაბაძე გვანდის ინფორმაციას კახორის ხატის შესახებ, რომელიც მოიხატა ოლთისის მთავარ სოილ კოპასძის მიერ XVI ს-ის დასაწყისში.

კოპის ხეობაში რამდენიმე საინტერესო კულტურული ძეგლია. ერთ-ერთია პერტუსის ეკლესია, რომელთანაც ახლოს მთაზე დიდი მრგვალი კოშკი იყო, რომელიც, სავარაუდოდ, პერტუსზე გამავალ გზებს აკონტროლებდა. დღეს კოშკი აღარ არის.

საინტერესოა მზეჭაბუკ ათაბაგის (1500-1515 წწ.) სასახლე, სასახლის მფლობელის ვინაობა დადგენილია სასახლის კარის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე გაკეთებული წარწერიდან „...ამ ეკლესიის აღმშენებლსა ათაბაგსა პატრონსა მზეჭაბუკს დღეგრძელობით შეუნდენენ ღმერთმან“.

კოპის ხეობაში ბარდუსის წყლის მაღალ კლდოვან ნაპირზე მდებარეობს ლექსორის მონასტერი. სავარაუდოა, რომ ლექსორი კოპასძეთა საგვარეულოს მფლობელობაში არსებული მონასტერია, თუმცა მისი ისტორია საგვარეულოს დანიშნურებამდე იწყება. ამიტომ, კოპის ხეობა, ზოგჯერ ლექსორადაც მოიხსენებოდა.

ბარდუსის ხეობას მნიშვნელოვანი ეკონომიკური დატვირთვაც უნდა ჰქონოდა შუა საუკუნეების საქართველოში. ვინაიდან, სწორედ ამ ხეობის გავლით გადიოდა სავაჭრო გზები ყარსაა და ბასიანში. ხეობის პოლიტიკურ როლს ზრდიდა ჯაყელთა გაბატონება ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე. კოპის ხეობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო-პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ნოდარ იაშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის II კურსის
სტუდენტი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ჯუმათის მონასტრის გაბნეული მედალიონები (საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმი, სანქტ- პეტერბურგის ერმიტაჟი, პარიზის კლუნის მუზეუმი)

ჯუმათის მონასტერი შემოქმედის სამონასტრო კომპლექსის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა გურიის ისტორიაში, იგი XV-XIX საუკუნეებში ჯუმათის საეპისკოპოსოს ცენტრი იყო. საისტორიო ცნობების თანახმად, მონასტრის მფლობელობაში იყო დიდძალი ქონება და საეკლესიო ძვირფასეულობა, ხატები, ჯვრები. საეკლესიო ქონებას შორის აღსანიშნავია უძველესი ქართული მინანქრის მედალიონები, რომლებიც ჯუმათის მონასტრის მთავარანგელოზთა ხატებს ამშვენებდა. მათი უმეტესობა ახლა ინახება ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში, სანქტ-პეტერბურგის რუსეთის მუზეუმში, ერმიტაჟის კოლექციაში და პარიზის კლუნის მუზეუმში.

ჯუმათის ეკლესიასა და იქიდან წაღებული მინანქრის მედალიონების შესახებ ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და ფილოლოგის – სარგის კაკაბაძის წერილში ვკითხულობთ: „ჯუმათში იყო ორი ხატი მოჭედილი მთავარანგელოზ მიქაელისა და გაბრიელის. მთავარანგელოზ მიქაელის ხატზე დაკრული იყო ათი მინანქრის მედალიონი ქართული წარწერებით, ხოლო გაბრიელის ხატზე ასევე მედალიონები იყო ბერძნული წარწერებით. ორივე ხატი თავისი მინანქრებით ჯუმათის მონასტრიდან გაიტაცა მოტყუებით ეგზარქოსის ნებართვის თანახმად საბინგუსმა რუსეთში.“

ექსპერტების თანახმად ჯუმათის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი XII საუკუნით თარიღდება. რაც შეეხება მთავარანგელოზ მიქაელის ხატს, მასზე არსებული ათი ქართული წარწერის მქონე მე-

დალიონის ნაცვლად, რომლებიც მას ამშვენებდა, საბინგუსმა ექვსი ახალი ვერცხლი მიამაგრა. იმის მიუხედავად, რომ გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის ჩარჩოდან მოხსნილ მედალიონებზე წარწერა ბერძულადაა შესრულებული, ხატზე ქართული ხელობის კვალი მაინც იცნობა. კერძოდ, შარავანდის ირგვლივ შემოვლებულ ოქროს სირმებიან წრეში ოქროთივე ასომთავრულად წარწერი წარწერა იკითხება „წმინდა გაბრიელ მთავარო“.

საგულისხმოა, რომ ჯუმათის მონასტერი 1873 წელს აღწერა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რა დროსაც ხატები ჯერ კიდევ მონასტერში ინახებოდა. მოგვიანებით, 1880-იანი წლებში დიმიტრი ბაქრაძე კიდევ ერთხელ ეწვია ჯუმათის მონასტერს, თუმცა მედალიონები და ხატები ადგილზე აღარ დახვდა. საინტერესოა ის გზა, რომელიც თითქმის 10 საუკუნის წინ შექმნილმა ხატებმა და მათზე არსებულმა მედალიონებმა განვლეს. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ორივე ხატზე ჯამურად არსებული 22 მედალიონიდან 12 საქართველოს ფარგლებს გარეთ ინახება, ნაწილი დაბრუნდა, ხოლო გარკვეული ნაწილი კი დაკარგულია.

ნინო კეკელიძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
ვლადიმერ კეკელიძე

ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლები

ამერიკის შეერთებულ შტატებში

მსოფლიოს არა ერთი ქვეყნის სამუზეუმო თუ საუნივერსიტეტო საცავებში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლები ინახება. მათ შორის – ხელნაწერები, მინაწერითა და სპი-

ლოს ძვალზე შესრულებული ხატები, ტორევიკა თუ არქეოლოგიური მასალა.

ჩვენს მოხსენებაში საუბარი გვექნება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაცულ საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილ ერთეულებზე – ხელნაწერებსა და ხატებზე, რომლებიც ინახება შემდეგ სიძველეთსაცავებში:

ჰოუტონის ბიბლიოთეკა

პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

დუმბარტონ ოუქსის ბიზანტინისტიკის ცენტრი

უოლტერსის ხელოვნების მუზეუმი

ჰილის მუზეუმი და ხელნაწერთა ბიბლიოთეკა

ლილის ბიბლიოთეკა

წარმოდგენილი იქნება ერთეულების შესწავლის ისტორია და აღნიშნულ სიძველეთსაცავებში მათი მოხვედრის გზები. მოხსენებას თან დაერთვება როგორც განსახილველი ერთეულების ვიზუალური მასალა ასევე საარქივო დოკუმენტები, რომელთა გაცნობის საშუალება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არქივთმცოდნეობის განყოფილებაში სტაჟირებისას მომეცა.

მარიამ ქინჭარაული

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი – ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

შუა საუკუნეების ქართული სამუზეუმო ექსპონატები საერთაშორისო გამოფენებზე

სამუზეუმო საქმეს ქართული ისტორიის შენარჩუნებასა თუ პოპულარიზაციაში ყოველთვის დიდი წვლილი ჰქონდა. შესაბამისად, ექსპონატების დანიშნულება, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნების გარდა, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უფრო ახლოს გაცნობაცაა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონ-

დებში დღესდღეობით უამრავი საინტერესო და მრავალფეროვანი ნივთია დაცული, რომლებიც საკუთარი წარსულის ალბეჭდვასთან ერთად, სხვადასხვა კულტურების ერთ სივრცეში თავმოყრაზე მიუთითებს, რაც აშკარად მეტყველებს ქართულ ტოლერანტობაზე.

მუზეუმისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, რათა ჩვენი ამდენსაუკუნოვანი ისტორია უცხო აუდიტორიასაც გავაცნოთ. ახლო წარსულში გამოფენები მოეწყო კრაკოვში, ბრიუსელსა და ბაზელში, სადაც უძველესი ხანიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის ჩათვლით სხვადასხვა კატეგორიის ექსპონატები იყო წარმოდგენილი, მათ შორის ქვის ხანის არტეფაქტები, სამუშაო თუ საბრძოლო იარაღები, მცირე ზომის ქანდაკებები, ფრეკსები, ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები და ა.შ. ამჟამად ჩვენი განხილვის საგანია შუა საუკუნეების მემკვიდრეობა, რომელიც საკმაოდ საინტერესო კუთხით იყო წარმოდგენილი. ამ პერიოდიდან საკმაოდ მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის ასტროლაბი, რომელიც ადასტურებს იმას, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში საქართველოში საგრძნობლად მოიმატა ციური სამყაროსადმი ინტერესმა და კოსმოგრაფიულ ძეგლებზე ინტერესი გაიზარდა. აგრეთვე გვაქვს ვახტანგ მეფის დროშა, რომელზეც საინტერესო წარწერები და სიმბოლოებია დატანილი. ნაჩვენებია იქნება ასევე ჩუკულის კარი, ირანული დოქები, აღმოსავლური ჭრაქები, დეკორატიული ფილები და ა.შ. ამით ორივე გამოფენაზე ხაზგასმული იყო სხვა კულტურების საქართველოში გავრცელების მასშტაბები და მათი გავლენა. იყო ნუმისმატიკური მასალაც, საიდანაც ძირითადი მონეტები XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნებოდა. ამრიგად, ეს გამოფენები, თავიანთი საინტერესო და სიმბოლური სახელწოდებებით, მიზნად ისახავს ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

სარჩევი

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ანი დაუთაშვილი, ანა კაშმაძე არტანუჯის პოლიტიკური და კულტურული როლი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში..... | 6 |
| სესილი სამხარაძე ივერიის ღვთისმშობლის ხატი და მისი მნიშვნელობა ქართველების ერთიანობის საკითხში | 7 |
| ნანა ზაფრაშვილი სინას მთის ქართული კულტურული მემკვიდრეობა | 9 |
| მარიამ მელაშვილი, თამრო ლურწკაია სინას მთის ქართული სიძველეების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისთვის | 10 |
| მარიამ ბარბაქაძე ქართული კულტურისა და სულიერების კერები კვიპროსზე – ღალიის მონასტერი..... | 11 |
| ნიკოლოზ კინმარიშვილი ქართული კულტურის ძეგლი – ქურმუხის წმ. გიორგის ეკლესია..... | 13 |
| ლალი ელიზბარაშვილი დოლისყანა – შუა საუკუნეების ქართული ტაძარი კლარჯეთში | 14 |
| ნინო ახალაია ათონის ქართველთა მონასტრის „საალაპე წიგნი“, როგორც ისტორიული წყარო | 16 |

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| დიმიტრი ხოფერია ბანა – „ქართველთა სამეფოს“ კულტურული და პოლიტიკური ცენტრი | 17 |
| მარიამ სამადაშვილი ოშკის ტაძარი და მისი დაფარული სიძველეები..... | 19 |
| შოთა კენჭოშვილი „ზემონი ქვეყანანი“ და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა X საუკუნეში | 20 |
| გვანცა დარასელია პეტრიწონის მონასტრის წესდება – ქართული სამონასტრო თემის შემაკავშირებელი დოკუმენტი..... | 22 |
| ნინო ინდუაშვილი გრიგოლ ბაკურიანის ძის როლი შუა საუკუნეების ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში..... | 23 |
| თემურ მეზურნიშვილი დავით IV აღმაშენებლის ჯვრის უჩვეულო თავგადასავლის შესახებ..... | 25 |
| ლუკა ნებიერიძე შუასაუკუნეების ქართველი დაქირავებული მეომრების საკითხი | 26 |
| გიორგი გოგისვანიძე გურჯი-ხათუნისა და მისი სავარაუდო საფლავის შესახებ..... | 28 |
| ილონა კირაკოსიანი, ემმა პოლოსიანი მედეას მითი ჯეფრი ჩოსერის შემოქმედებაში..... | 30 |

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ლაშა სამხარაძე ქართული გარნიზონები XV საუკუნის ოსმალური ანატოლიის ციხეებში (თორული, ჯეზრე, ჯენეჰაპი)..... | 31 |
| მარიამ ხორბალაძე კოპის ციხე და ხეობა, სიძველეები და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა | 32 |
| ნოდარ იაშვილი ჯუმათის მონასტრის გაბნეული მედალიონები (საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმი, სანქტ- პეტერბურგის ერმიტაჟი, პარიზის კლუნის მუზეუმი)..... | 34 |
| ნინო კეკელიაშვილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლები ამერიკის შეერთებულ შტატებში | 35 |
| მარიამ ჭინჭარაული შუა საუკუნეების ქართული სამუზეუმო ექსპონატები საერთაშორისო გამოფენებზე | 36 |